სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

22 ივნისი, 2026 წელი

ბრძანება № 01-02/113

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს „განათლების ხელშეწყობა“ პროგრამით გათვალისწინებული „სტიპენდიები“ ქვეპროგრამის ფარგლებში ბსუ-ს სტუდენტთა კანდიდატურების შერჩევისა და წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიების დაწესებისა და დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიების მინიჭების წესის დამტკიცების თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 25 თებერვლის №12 დადგენილების (შეტანილია ცვლილება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2026 წლის 30 იანვრის N2 დადგენილებით), „აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის სტიპენდიის დაწესებისა და მინიჭების წესის დამტკიცების თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 12 სექტემბრის №11 დადგენილების (შეტანილია ცვლილება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2026 წლის 30 იანვრის N4 დადგენილებით), „ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიის მინიჭებისა და სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2026 წლის 30 იანვრის №3 დადგენილების, „აკაკი ჩხენკელის სახელობის სტიპენდიის დაწესებისა და სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2026 წლის 26 მარტის №11 დადგენილების, ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს „განათლების ხელშეწყობა“ პროგრამით (პროგრამის კოდი: 06 04) გათვალისწინებული „სტიპენდიები“ ქვეპროგრამის (ქვეპროგრამის კოდი: 06 04 26) ფარგლებში სტიპენდიების მისანიჭებელ კანდიდატთა განაცხადების წარდგენის ვადის განსაზღვრის შესახებ'' აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განათლებისა და კულტურის მინისტრის 2026 წლის 06 ივნისის №299/ძ ბრძანებისა და ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის პირველი მოადგილის გური ბაქრაძის 2026 წლის 15 ივნისის MES 9 26 0000712349 კორესპონდენციის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს „განათლების ხელშეწყობა“ პროგრამით გათვალისწინებული „სტიპენდიები“ ქვეპროგრამის ფარგლებში ბსუ-ს სტუდენტთა კანდიდატურების შერჩევისა და წარდგენის წესი (დანართი №1).
2. წინამდებარე ბრძანებით გათვალისწინებული „სტიპენდიები“ ქვეპროგრამის ფარგლებში ბსუ-ს სტუდენტთა კანდიდატურების შერჩევისა და წარდგენის მიზნით დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის შემადგენლობა, წინამდებარე

ბრძანების N2 დანართის შესაბამისად. საკონკურსო კომისიამ იხელმძღვანელოს ამ ბრძანებით, „დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიების დაწესებისა და დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიების მინიჭების წესის დამტკიცების თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 25 თებერვლის №12 დადგენილების (შეტანილია ცვლილება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2026 წლის 30 იანვრის N2 დადგენილებით), „აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის სტიპენდიის დაწესებისა და მინიჭების წესის დამტკიცების თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 12 სექტემბრის №11 დადგენილების (შეტანილია ცვლილება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2026 წლის 30 იანვრის N4 დადგენილებით), „ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიის მინიჭებისა და სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2026 წლის 30 იანვრის №3 დადგენილების, „აკაკი ჩხენკელის სახელობის სტიპენდიის დაწესებისა და სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2026 წლის 26 მარტის №11 დადგენილების, ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს „განათლების ხელშეწყობა“ პროგრამით (პროგრამის კოდი: 06 04) გათვალისწინებული „სტიპენდიები“ ქვეპროგრამის (ქვეპროგრამის კოდი: 06 04 26) ფარგლებში სტიპენდიების მისანიჭებელ კანდიდატთა განაცხადების წარდგენის ვადის განსაზღვრის შესახებ'' აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განათლებისა და კულტურის მინისტრის 2026 წლის 06 ივნისის №299/ძ ბრძანებისა და ,,აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრის პირველი მოადგილის გური ბაქრაძის 2026 წლის 15 ივნისის MES 9 26 0000712349 კორესპონდენციით.

3. წინამდებარე ბრძანების შესახებ ბსუ-ს სტუდენტების ინფორმირება განხორციელდეს ბსუ-ს სტუდენტური პორტალის მეშვეობით.
4. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ფაკულტეტების საინფორმაციო დაფებსა და ვებგვერდზე (ველში ,,კონკურსები'', ,,ფაკულტეტის სიახლეები'').
5. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, ფაკულტეტებს, რექტორის აპარატს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიურ სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს და საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია).
6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ№30).

ბსუ-ს რექტორი ტიტე არეშიძე

„აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს „სტიპენდიები“ ქვეპროგრამის ფარგლებში ბსუ-ს სტუდენტთა კანდიდატურების შერჩევისა და წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 22 ივნისის №01-02/113 ბრძანების

დანართი №1

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს „განათლების ხელშეწყობა“ პროგრამით გათვალისწინებული „სტიპენდიები“ ქვეპროგრამის ფარგლებში ბსუ-ს სტუდენტთა კანდიდატურების შერჩევისა და წარდგენის წესი

1. წინამდებარე წესი განსაზღვრავს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს „განათლების ხელშეწყობა“ პროგრამით გათვალისწინებული „სტიპენდიები“ ქვეპროგრამის ფარგლებში დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის სახელობის, ჟიული შარტავას სახელობის, აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობისა და აკაკი ჩხენკელის სახელობის სტიპენდიებზე ბსუ-ს საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა განაცხადების მიღების, დოკუმენტაციის გადამოწმების, კანდიდატთა შერჩევისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროსათვის წარდგენის ორგანიზაციულ წესს.
2. სტიპენდიების მიზანია ახალგაზრდებში აფხაზეთის საკითხისადმი ინტერესის გაღრმავება, აკადემიური და სამეცნიერო აქტივობის წახალისება, შესაბამის მიმართულებებში წარმატებული სტუდენტების გამოვლენა და მხარდაჭერა.
3. <u>დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის სახელობითი სტიპენდია ენიჭებათ პოლიტიკის მეცნიერების დარგში განსაკუთრებული მიღწევებითა და წარმატებებით წარმოჩენილი აფხაზეთის თემაზე მომუშავე საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებისათვის.</u>
4. ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდია ენიჭებათ **აფხაზეთის** თემაზე მომუშავე (გარდა პოლიტიკის მეცნიერების დარგში) **განსაკუთრებული მიღწევებითა და წარმატებებით წარმოჩენილი საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს** ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებისათვის.
5. აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის სტიპენდია ენიჭებათ **ფიზიკის, მათემატიკის, გამოყენებითი მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულების განსაკუთრებული მიღწევებითა და წარმატებებით წარმოჩენილ საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს** ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებისათვის.

6. აკაკი ჩხენკელის სახელობის სტიპენდია ენიჭებათ **სამართლის, საერთაშორისო სამართლის, ევროპული სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ან განსაკუთრებული მიღწევებითა და წარმატებებით წარმოჩენილი საქართველოს პირველი რესპუბლიკის ისტორიის თემატიკაზე მომუშავე საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებს** ინტელექტუალური პოტენციალის განვითარებისათვის.
7. **სახელობითი სტიპენდია წესდება მხოლოდ 4 (ოთხი) საბაკალავრო და 4 (ოთხი) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტისათვის,** რომლის ოდენობა თვეში შეადგენს 300 ლარს და გაიცემა დანიშვნის დღიდან ყოველთვიურად 10 თვის განმავლობაში.
8. კონკურსში მონაწილეობის მიზნით ბსუ-ს აქტიური სტატუსის მქონე საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებმა **2026 წლის 01 ივლისიდან 01 აგვისტოს 17:00 საათის ჩათვლით,** ბსუ-ს სტუდენტური პორტალის საშუალებით („წერილი კანცელარიას", რექტორის სახელზე) **უნდა წარმოადგინონ:**

   ა) <u>სტუდენტის განცხადება</u> კონკურსში მონაწილეობის შესახებ (შედგენილი **N3 დანართის** შესაბამისად);

   ბ) პირადობის მოწმობის ასლი;

   გ) სტუდენტის სასწავლო ბარათი (წინა სემესტრის შეფასების საშუალო არითმეტიკული (მთელი სიზუსტის დამრგვალებით) 90 ქულის და მეტის მითითებით);

   დ) სტუდენტის საკონფერენციო ნაშრომის გამოქვეყნების, სტუდენტურ კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (დედანი ან დამოწმებული ასლი ასეთის არსებობის შემთხვევაში);

   ე) სტუდენტის საკონფერენციო ნაშრომი;

   ვ) სტუდენტურ/სამეცნიერო, საუნივერსიტეტო შემოქმედებით ან კულტურული ღონისძიებებში (კონფერენცია, სემინარი, სიმპოზიუმი და სხვ.) მონაწილეობის დამადასტურებელი სიგელის, სერტიფიკატის ნოტარიულად **დამოწმებული ასლი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში, დოკუმენტის დედანი მოთხოვნისთავე უნდა წარედგინოს საკონკურსო კომისიას).
9. საკონკურსო კომისიის მიერ <u>საკონკურსო დოკუმენტაცია</u> **არ განიხილება** (კონკურსანტი არ შეფასდება და მოიხსება კონკურსიდან) **შემდეგ შემთხვევებში:**

   ა) თუკი კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია არასრულყოფილია ან წარმოდგენილია ვადის დარღვევით;

   ბ) თუკი კონკურსანტის წარმოდგენილი დოკუმენტი არ არის შესაბამისი ფორმის დაცვით შედგენილი (ხელმოწერა, ბეჭედი, ნოტარიული დამოწმება და ა.შ.) ან არ შეესაბამება სინამდვილეს, რაც დასტურდება ბსუ-ში არსებული შესაბამისი მტკიცებულებებით;

   გ) კონკურსანტს შეჩერებული/შეწყვეტილი აქვს ბსუ-ს სტუდენტის სტატუსი;

10. საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმით კომისიამ დაადგინოს და მიიღოს კონკურსის საორგანიზაციო სხვა გადაწყვეტილებები, რასაც არ ითვალისწინებს წინამდებარე ბრძანება, მაგრამ გამომდინარეობს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს „განათლების ხელშეწყობა“ პროგრამით გათვალისწინებული „სტიპენდიები“ მოთხოვნებიდან.
11. სტიპენდიანტების შესარჩევი **კონკურსი ჩატარდეს** 2026 წლის **02 აგვისტოდან 05 აგვისტოს ჩათვლით.**
12. ჩატარებული კონკურსის თაობაზე შემაჯამებელი სამსახურებრივი ბარათი, საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი/ოქმები (გამარჯვებული სტუდენტების შესაბამისი დოკუმენტაციით), ასევე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის **სამინისტროში გასაგზავნი წერილი** და თანდართული დოკუმენტაცია **მომზადდეს** „დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიების დაწესებისა და დიმიტრი (არზაყან) ემუხვარის და ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიების მინიჭების წესის დამტკიცების თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2016 წლის 25 თებერვლის №12 დადგენილების (შეტანილია ცვლილება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2026 წლის 30 იანვრის N2 დადგენილებით), „აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის სტიპენდიის დაწესებისა და მინიჭების წესის დამტკიცების თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2017 წლის 12 სექტემბრის №11 დადგენილების (შეტანილია ცვლილება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2026 წლის 30 იანვრის N4 დადგენილებით), „ჟიული შარტავას სახელობის სტიპენდიის მინიჭებისა და სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2026 წლის 30 იანვრის №3 დადგენილების, „აკაკი ჩხენკელის სახელობის სტიპენდიის დაწესებისა და სტიპენდიის დანიშვნის თაობაზე“ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2026 წლის 26 მარტის №11 დადგენილებების შესაბამისად და წარმოდგენილი **იქნეს ბსუ-ს რექტორთან,** არაუგვიანეს 2026 **წლის 07 აგვისტოს.**
13. ჩატარებული კონკურსის შედეგების გათვალისწინებით **რეკომენდირებულ კანდიდატთა წარდგინება შესაბამის დოკუმენტაციასთან ერთად გაეგზავნოს** აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის სამინისტროს, არაუგვიანეს 2026 წლის **10 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში.**
14. ბსუ-ს მიერ კანდიდატთა წარდგენა არ ნიშნავს სტიპენდიის ავტომატურად მინიჭებას. **საბოლოო გადაწყვეტილება სტიპენდიის დანიშვნაზე ხორციელდება აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის მინისტრის მიერ შესაბამისი დადგენილებებითა და მოქმედი წესებით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად.**
15. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და სპორტის **მინისტრს უფლება აქვს სტიპენდიატს ვადაზე ადრე მოუხსნას სტიპენდია, თუკი სტუდენტს სტატუსი შეუჩერდება ან შეუწყდება.** მინისტრი ამ გადაწყვეტილებას იღებს სტიპენდიაზე წარმდგენი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების საფუძველზე.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს „განათლების ხელშეწყობა“ პროგრამით გათვალისწინებული „სტიპენდიები“ ქვეპროგრამის ფარგლებში ბსუ-ს სტუდენტთა კანდიდატურების შერჩევისა და წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ

ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 22ივნისის N01-02/113 ბრძანების

დანართი N2

1. **გიორგი ქათამაძე** - რექტორის მოადგილე სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით (**კომისიის თავმჯდომარე**);
2. **მერაბ დიასამიძე** - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, **თავმჯდომარის** მოადგილე;
3. **ლევან ტარიელაძე** - სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის უფროსი;
4. **სალომე ჯინჭარაძე** - სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის კულტურისა და სპორტის განყოფილების მთავარი სპეციალისტი;
5. **გოგა ბაუჟაძე** - სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის სტუდენტთა კარიერული განვითარების და მხარდაჭერის განყოფილების მთავარი სპეციალისტი (**კომისიის მდივანი**);
6. **ამირან შარაძე** - სასწავლო პროცესის დეპარტამენტის უფროსი;
7. **გიორგი დიასამიძე** - იურიდიული დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი.
8. **ირმა დიასამიძე** - საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტის აღრიცხვა-ანგარიშგების სამსახურის (ბუღალტერია) სტუდენტთა სწავლის საფასურის ადმინისტრირების მენეჯერი.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს „განათლების ხელშეწყობა“ პროგრამით გათვალისწინებული „სტიპენდიები“ ქვეპროგრამის ფარგლებში ბსუ-ს სტუდენტთა კანდიდატურების შერჩევისა და წარდგენის წესის დამტკიცების შესახებ

ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 22ივნისის N01-02/113 ბრძანების

დანართი N3

ბსუ-ს სტუდენტის საკონკურსო განაცხადი

შემოხაზეთ მხოლოდ ერთი სასურველი სახელობითი სტიპენდია

ა) დიმიტრი (არზაყან) ემუხვარი;

ბ) ჟიული შარტავა;

გ) აკადემიკოს ილია ვეკუა;

დ) აკაკი ჩხენკელი.

სახელობის სტიპენდიის მოსაპოვებელ კონკურსში მონაწილეობის შესახებ

1.	ბსუ-ს სტუდენტის სახელი, გვარი, პირადი ნომერი	
2.	დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	
3.	ფაკულტეტი	
4.	სწავლების საფეხური (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, ერთსაფეხურიანი)	
5.	საგანმანათლებლო პროგრამა	
6.	საკონკურსო განაცხადის წარმოდგენის დროისთვის მიმდინარე სასწავლო სემესტრი	
7.	რეგისტრაციის ადგილი (სრული მისამართი)	
8.	ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი (მისამართი)	

9.	საკონტაქტო ტელეფონი	
10.	საკონტაქტო ელექტრონული ფოსტა	
11.	საბანკო ანგარიშის ნომერი (სტიპენდიის მიღების შემთხვევაში თანხის ჩარიცხვისათვის)	
12.	სხვა ინფორმაცია, აპლიკანტის შეხედულებით	

13. 2025-2026 სასწავლო წელს სამეცნიერო, სტუდენტურ, საუნივერსიტეტო, ინტელექტუალურ, შემოქმედებით ან საზოგადოებრივ ღონისძიებებში მონაწილეობა:

N	წელი/პერიოდი	ღონისძიების/აქტივობის დასახელება	აპლიკანტის აქტივობა/როლი	ჩატარების ადგილი
1				
2.				
3.				
4.				
5.				
6.				

14. პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე განმცხადებლის (მონაცემთა სუბიექტის) წერილობითი თანხმობა

აპლიკანტი (მონაცემთა სუბიექტი) აცხადებს თანხმობას, რომ ამ განაცხადის განხილვის მიზნებისათვის, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონისა და „ბსუ-ში პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის" მოთხოვნათა დაცვით დამუშავდეს მისი პერსონალური მონაცემები: სახელი, გვარი, პირადი ნომერი, ელფოსტის მისამართი, ტელეფონის ნომერი, საცხოვრებელი მისამართი, ფოტო, საბანკო რეკვიზიტები და ამ განაცხადში მითითებული სხვა ინფორმაცია.

აპლიკანტი ასევე აცხადებს თანხმობას, რომ კონკურსის/სტიპენდიის ადმინისტრირების მიზნით ბსუ-ს მიერ გადამოწმდეს წარმოდგენილი ინფორმაციის სიზუსტე/ნამდვილობა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ინფორმაცია გადაეცეს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს და/ან გამოქვეყნდეს ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე, სოციალურ ქსელში ან სხვა საინფორმაციო რესურსზე სტიპენდიის შედეგების შესახებ ინფორმირების მიზნით.

აპლიკანტი ადასტურებს, რომ ინფორმირებულია მისი პერსონალური მონაცემების შენახვის ვადებისა და მონაცემთა სუბიექტის უფლებების შესახებ, მათ შორის, უფლებამოსილებაზე მიიღოს ინფორმაცია მის შესახებ დამუშავებულ მონაცემებზე, მოითხოვოს მათი გასწორება, განახლება, დამატება, დაბლოკვა, წაშლა ან განადგურება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ვადასტურებ ხელმოწერით: _____

15. გთხოვთ, განიხილოთ ჩემი საკონკურსო განაცხადი და წარმოდგენილი დოკუმენტაცია:

□ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

□ სტუდენტის სტატუსის დამადასტურებელი ცნობა;

□ აკადემიური მოსწრების ამონაწერი/ნიშნების ფურცელი;

□ შესაბამისი სამეცნიერო ნაშრომი, პუბლიკაცია, კვლევითი თემა ან სხვა აკადემიური მიღწევის დამადასტურებელი მასალა;

□ სხვა დოკუმენტი:

_____.

16.	განაცხადის წარმოდგენის თარიღი	____ _____ 2026 წ.
17.	განმცხადებლის სახელი, გვარი და ხელმოწერა	_____ _____